




K 8056
2


K 8.056
2

ଓৱে 5 ১৯৫৩

ପାତାରୁଷ ଗବର୍ନରୁଟା ମିଟାଲ-ମନମିତ୍ରଙ୍କଳି ସାହୁରୁଷିଣୀ
ସାହୁରୁଷିଣୀ ଦିନିକ ମେମମେ-୦“.




କଜ କରିଲେ „ମେମମେ-୦“? („ମେମମେ-୦“)



4552

8061



სტამბა „ზ.რია ვოსტოკა“ №, წულუკიძის ქუჩა, № 4.
შეკვ. № 1088. ტირაჟი 3000. მთავლ. № 665.

325.356 (=924) (42-41)

198.056
2

რა პრის „მემას“-ი?

(„ოჯათ“).

ებრაელებისათვის მიწადმოქმედება არასოდეს არ იყო
უცხო.

ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოულო საუკუ-
კუნეებით ებრაელთა უფლების უქონლობას. ებრაელთა
მასებმა უფლება მიიღეს შრომაზე, მაგრამ მარტო ეს უფ-
ლება თავიდან არ აშორებს კიდევ იმ მძიმე მემკვიდრეო-
ბას, რომელიც ცარიზმა დაუტოვა ებრაელთა მასებს.
შეფის რევიმის დროს ებრაელთა მოსახლეობას ახლოს არ
აკარებდენ მსხვილ წარმოებას. ებრაელთა მასები ხე-
ლოვნურად შერეკილი იყვნენ მეურნეობის სრულიად უსა-
ფუძვლო დარგებში.

საბოთა კავშირის საზოგრებში ცხოვრობს 3
მილიონამდე ებრაელთა მოსახლეობა. აქედან: ერთ მილი-
ონამდე არიან მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახები;
170 ათასზე მეტი მიწადმოქმედებას ეწევიან (ამაოგაც დი-
დი უმრავლესობა მიწაზე გადავიდენ 1923—1927 წლებში); 850.000 სული შეადგენს ხელოსნებს და შინამრე-
წველებს თავიანთი ოჯახებით; დაბოლოს ერთ მილიო-
ნამდე მოვაჭრეები (მათ კმაყოფაზე მყოფ პირებთან ერ-
თად), რომელთა დიდი უმრავლესობა წვრილი და გამოუ-
რკვეველი პროფესიის პირები არიან. მთელი რიგი გამო-
კვლევებით დამტკიცებულია; რომ მნიშვნელოვანი ნაწი-
ლი ებრაელთა ხელოსნებისა და შინამრეწველებისა და
მოვაჭრეების უმრავლესობა (თუ არას ვიტყვით ებრაელ-

თა მოსახლეობის ყოველივე კლასს გარეშე მდგარ ნა. წილზე), რომლებიც შეხიზნული არიან ყოფილ „ბინად-რობის ზოლის“ (черта оседлости) დაბებში, ეწევიან მათხოვრულ, ხშირად არა ადამიანურ ცხოვრებას. ამ მასების მდგომარეობა რთულდება კიდევ მით, რომ ამ ჩამორჩენილ დაბებში არაა არავითარი იმედები საწარმოო შრომაზე გადასვლისა, როგორც თვითონ მათვის, აგრეთვე მათი შვილებისათვისაც. ერთდროულად ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ზრდასთან, კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის განვითარებასთან მათი საცხოვრებელი წყაროები განწირული არიან სრულ განაღვეურებამდე.

ებრაელთა მასების ლოკლა საწარმოო შრომისაკენ.

ცარიზმის დრო ებრაელთა მასების ლტოლვა საწარმოო შრომისაკენ იმსხვრეოდა მათ საშინელ უფლების უქონლობაზე. მეფის მთავრობის მთელი პოლიტიკა მიმართული იყო ებრაელთა მოსახლეობის განაღვეურებასა და შევიწროებისაკენ. ამის შედეგი იყო ებრაელთა გრანდიოზული ემიგრაცია ოკეანეს იქით: 1880-დან 1915 წლამდე გადასახლდა ორ მილიონამდე ებრაელთა მოსახლეობა.

ებრაელთა მასების ცხოვრების გაჯანსაღების ფართო გზაზე გამოსვლა, გადასულა საწარმოო შრომაზე მრეწველობაში და სასოფლო-მეურნეობაში შესაძლო შეიქნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. მაგრამ გარდა-მეტებული მუშათა ძალის მთლიანად მოთავსების შეუძლებლობა მრეწველობაში და ის ფაქტი, რომ მთავარი მასები ებრაელთა დაბების მოსახლეობისა მოთავსებული არიან ისეთ რაიონებში, სადაც სასოფლო-მეურნეობა სკორბობს — უფრო მეტად იპყრობდა ლარიბ ებრაელთა ყურადღებას მიწაზე გადასელისაკენ.

უკვე 1922 წლის შემოდგომიდან იწყება ებრაელების სტიქიური გადასვლა მიწადმოქმედებაზე. არამც თუ ძველი ებრაელთა კოლონისტები უბრუნდებიან სამოქა-

ლაქო ომის დროს განადგურებულ კოლონიებს, არამედ
სხვა და სხვა ადგილებში ჩნდებიან ახლებიც. გარედან
ყოველივე დახმარების გარეშე ყალიბდებიან ებრაელთა
მიწადმოქმედების კოლექტივები, ჩნდებიან ბევრი ერთეუ-
ლი მიწადმოქმედებები, ბევრი ებრაელთა ლარიბები მი-
დიან სოფლებში ბოგანათ.

საბჭოთა მთავრობის დახმარება ებრაელთა მიწად-მო- წყობას.

შეიგება რა ამ სტიქიურ ლტოლვას ებრაელთა ლა-
რიბების საწარმოო მიწადმოქმედების შრომაზე გადასვლი-
საკენ, 1924 წლის 29 აგვისტოს ს.ს.რ.კ. ცაკის პრეზი-
დიუმმა დაადგინა შექმნას ს.ს.რ.კ. ცაკის ეროვნებათა სა-
ბჭოს პრეზიდიუმთან—მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყო-
ბი კომიტეტი (კომზეტი).

100.000 მშრომელ ებრაელთა ოჯახი უნდა გადავიდეს მიწაზე.

ამ მომენტიდან ებრაელთა მიწადმოწყობის საქმე
ხდება სახელმწიფო საქმედ, რაც ერთბაზად გამოჩნდა
მუშაობის გასაქანში. კომზეტის ერთი პირველ დადგენი-
ლებათაგანი გვაუწყებს: „კომზეტ“-ის მოქმედების ორიენ-
ტაცია უნდა იქნეს მშრომელ ებრაელთა 100.000 ოჯახის
გადასახლებისაკენ“ ე. ი. კავშირის მთელი ებრაელთა მო-
სახლეობის 20 პროც-ისა უახლოესი ათი წლის განმავ-
ლობაში. კომზეტ-ის ორი წლის წარმატებით მუშაობის
შემდეგ, ეს გეგმა სავსებით მოწონებული იყო ჩვენი კავ-
შირის უმაღლესი ორგანოების მიერ.

1926 წლის 15 ივნისს კომზეტ ის მოხსენებაზე
ს.ს.რ.კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა:

„კომზეტ“-ის გეგმა, რომელიც მდგომარეობს მასში,
რომ მთელი რივი წლების განმავლობაში გადაიყვანოს
სასოფლო-მეურნეობაზე 100.000 ოჯახი სრულიად ეგუება,

როგორც საერთო სახელმწიფო ებრივ ინტერესებს აგრეა
თვე მშრომელ ებრაელთა მოსახლეობის საკიროებას".

ეს შეადგენს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებსაც.

ამა წლის 7 ივლისს ს.ს.რ.კ. სახ. საგეგმო კომისიის
პრეზიდიუმში, მშრომელ ებრაელთა მიწად მოწყობის სა-
კითხის შესახებ დაადგინა: „ცნობილ იქნას კომისიის
მუშაობის დიდი მნიშვნელობა, როგორც ებრაელთა მშრო-
მელ ფართო მასების საწარმოო შრომაში სასო-
ფლო-მეურნეობის დარგში მიზიდვის საქმეში, რომლებიც
ცარიზმის და კაპიტალიზმის დროს, მოკლებულ იყვნენ
სასოფლო-სამეურნეო შრომის უფლებას, აგრეთვე იმ ად-
გილების ეკონომიურად და პოლიტიკურად გაჯანსაღები-
სათვის, რომელშიც მშრომელი ებრაელები კომპაქტურ
მასებათ ცხოვრობენ“. ამ უკანასკნელ სამი წლის განმავ-
ლობაში ებრაელთა მოსახლეობისათვის 1925 და 1927
წლებში ბელორუსიაში, უკრაინაში, ყირიმში და სხვა ად-
გილებში გამოყოფილია 300 ათასზე მეტი დესეტინა და
სწარმოებს მომზადება-მნიშვნელოვანი მიწის ფონდების.
ყირიმში და უკრაინაში გამოყოფილი მიწის ფონდები
წარმოადგენენ მნიშვნელოვან ნაკვეთებს.

1925-26 წლების დასაწყისში ჩატარებულია ორი
რეგისტრაცია ებრაელთა მოსახლეობის, რომელთაც მი-
წადმოქმედებაზე სურთ გადასვლა. რეგისტრაციაში გა-
ტარდენ 40 ათას ოჯახზე მეტი. აქედან უკვე გადასახ-
ლებული არიან: 1925 წელში 5226 ოჯახი, 1926 წელში
5508, 1927 წელში—5866 და ამგვარად სულ 16000
ოჯახი, დაახლოებით 83 ათასი სული.

პირველი ნაბიჯებიდანვე გამოიჩვა, რომ იმ პირე-
ბის გადასახლება მიწაზე, რომლებიც უწინ მიწადმოქმე-
დებას არ ეწეოდენ, მოიხოვს დიდ ხარჯებს, რომელიც
ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობის გამო სახელმწი-
ფოს არ შეუძლია მოგვცეს.

ამ საქმეს დასახმარებლად გამოეხმაურა საბჭოთა სა-
ზოგადოებრიობა.

1925 წ. 17 იანვარს ქ. მოსკოვში, მთელი რიგი
პარტიულ და უპარტიო საზოგადოებრივი მუშაქების ინი-
ციატივით მოეწყო საკაეშირო მშრომელ ებრაელთა მი-
წათმომწყობი საზოგადოება („მემმსი“) *).

მემმსი, როგორც საბჭოთა საზოგადოებრიობის ორ-
განიზაცია, მიზნათ ისახავს მობილიზაცია გაუკეთოს სა-
ზოგადოებრივ თეითსაქმიანობას, გაერთიანოს ლარიბ
ებრაელთა მიწადმოწყობის ყველა აქტიური მევობრები,
ყველა ვინც მხად არის ასე თუ ისე დაეხმაროს საბჭოთა
მთავრობის დიად დასაწყისის განხორციელებას ებრაელ-
თა მასების გაჯანსაღებისათვის და საწარმოო მიწადმო-
ქმედების შრომისაკენ მიზიდვისათვის.

ამეამად მემმს აქვს 500 განყოფილებამდე 100.000
წევრით.

მშრომელ ებრაელთა მიწით მოწყობის დახმარების
აღმოჩენაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საზღვარგა-
რეთელი ებრაელთა ორგანიზაციები: საბჭოთა კავშირში
ებრაელთა კოლონიზაციის დამხმარე სპეციალური მუშა-
თა ორგანიზაციები „იქარ“ (ჩრდილო-ამერიკა), „პროკორ“
(სამხრეს, ამერიკა), დანიის „იქარ“-ი, სამხრეთ აფრიკის
დახმარების ფონდი, დახმარების საზოგადოებანი პარიზ-
ში, ლონდონში, რიგაში, პალესტინაში და სხვ. არა მუ-
შათ ა ორგანიზაციებიდან—ამერიკული აგროჯოინტი, ეკო
(პარიზი), საზღვარგარეთელი ორტ-ი (ბერლინი). სასო-
ფლო-სამეურნეო მანქანებით, სააღმშენებლო და სხვა მო-
წყობილებებით ამარავებს არა მარტო მემმსის რაიონებში

*) სიტყვა „ოზეტი“ ნიშნავს ამ საზოგადოების რუსული სა-
ხელშოდების შემოკლებას.

გადასახლებულებს, არამედ იმ რაიონებსაც, რომლებთაც
ემსახურება აგრძოინტი, ეკო და სხვა.

1925—1927 წ. გადასახლების მიზნებისათვის საერ-
თო თანხებიდან დახარჯულია დაახლოვებით 13 მილ.
მანეთი, მემშვის ც. გ. ამ მიზნებისათვის თავის სახსრებიდან
გაიღო 1.040.000 მანეთი. აღნიშნულ თანხებში შედის ის
კრედიტები, რომელიც მიიღო მემშვის მთელ რიგ ბანკე-
ბიდან.

ს.ს.რ.კ. სახეომსაბჭოს ნებადართვით 1927 წ. მემშვის
თავის სახსრების გაძლიერების მიზნით მოაწყო. სრულიად
საკავშირო ლატარებია : მილ. ბილეთით, თითოული ლი-
რებული 50 კაპ. ლატარებიამ მიიზიდა დიდი ყურადღება
და სიმპატია, როგორც ებრაელთა, ისე ლანარჩენ მოსა-
ხლეობისა.

ებრაელები შესანიშნავად უთვისდებიან ახალ შრომას.

ებრაელთა ლარიბები მიუხედავად მძიმე პირობებისა
და მატერიალურ საშუალებათა სივიწროვისა—ნამდვილ
რაზენდობამ ჩამოავარენ მიწაზე თავის შრომის განხორციელე-
ბის საქმეში. სრულიად ახალ და უჩვეულო პირობებში,
უმცირეს საშუალებათა უქონლობის დროს, საშინელ სი-
არაბები-ახალად ჩასახლებულნი ებრაელნი ხელუხლებელ,
მიგდებულ და ხშირად გამოუსადეგარ მიწებს ნოკიერ ყა-
ნებად აქცევენ.

ახალად ჩასახლებულნი ებრაელნი აქეთებენ მეტად
საყურადღებო საქმეს, რომლითაც დაინტერესებულია არა
მარტო ებრაელთა ლარიბობა, არამედ მთელი ს.ს.რ.კ.

ჟველა უნდა დავეხმაროთ!

მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა ვალდებულია
დაეხმაროს ებრაელთა მშრომელ მასების გადასცელას ში-
წის საწარმოო შრომიაზე. ეს ყველა მოქალაქის ვალდებუ-
ლებაა—მიუხედავად მისი ეროვნებისა. ყოველი შეგნებული
მოქალაქე გალდებულია გახდეს მემშვის წევრი და მი-
ღლის მონაწილეობა მის მუშაობაში შეძლებისდაგვარად,
ეინაიდან მემშვის მუშაობა დიდი და სასარგებლო საქმეა.

პარლამენტის . კრონების ბიბლიოთეკი



K 8.056/2